ხელშეკრულება №64/გ.შ.
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 24 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ შპს ,,ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი" (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯემალ დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. ,,ივიჯი", (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ედნარ გელაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის "ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ელექტრო აკუმულატორები (უპს) (კლასიფიკატორის (CPV) კოდი 31430000), (შემდგომში `საქონელი"), ხოლო ,,შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება დანართი №1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1617.00 (ერთი ათას ექვსასჩვიდმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. საქონლის მიღება – ჩაბარება

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან მიღებული საქონლისათვის.

3.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

მუხლი 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 30 (ოცდაათი) საბანკო დღის განმავლობაში.

4.2. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ანგარიშფაქტურას ან სასაქონლო ზედნადებს ან/და მიღება-ჩაბარების აქტს მიუთითოს წარმოდგენილი საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ფასი.

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

მუხლი 5. გარანტია

5.1. ,,მიმწოდებელი"იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი.

5.2. მიწოდებულ საქონელზე გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება - 24 თვე.

5.3. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია წუნდებული საქონლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან დაუყონებლივ განახორციელოს დაწუნებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ბათუმი, ქათამაძის ქ. 11

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 30 აპრილამდე.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.

7.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს უფლებამოსილი თანამშრომელი.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები ,,შემსყიდველისათვის" გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია 5.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2015 წლის 1 სექტემბრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი “	„მიმწოდებელი “
შპს „ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი“	შ.პ.ს. „ივიჯი“
ი/მის: ქ.ბათუმი, ქათამაძის ქ. 11	მისამართი: ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. N66
ს/კ 245418392სს	ს/კ 245439271
საბანკო რეკვიზიტები: „თიბისი ბანკი“	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „საქართველოს ბანკი”
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE70 TB778703602010001	ანგ.№ GE05BG0000000118402800
ტელ: 253615, 253088.	
დირექტორი /ჯემალ დუმბაძე/	დირექტორი /უდნარ გელაძე/

----------------------------   ----------------------------

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
4	ელექტრო აკუმულატორები (უპს) 3000VA/2100W	ცალი	1	1617.00	1617.00
	სულ ჯამი:				1617.00

დირექტორი /ედნარ გელაძე/

საქართველო, შპს "ევიჯი" GEORGIA. "EVG" LTD 245439271